



„ძვენად არცერთი ბრძანი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა.“
იოსებ ნონეშვილი

● №8 (4529) ● 20 აპრილი ● 2016 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გაემოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

9 აპრილი

ტრაგედია, როგორც დამოუკიდებლობა მოგვიტანა!



9 აპრილის ტრაგედიიდან 27 წელი გავიდა... 1989 წლის 9 აპრილი - ქართველი ხალხისთვის, ერთდროულად, ცრემლის და სიხარულის დღეა. ეს თარიღი არის ქართველი ერის გამორბობისა და თავისუფლების წყურვილის გამოხატულება. 9 აპრილს დაღუპული ჩვენი თანამემამულეები კი, ეროვნული გმირები არიან, რომელთა თავგანწირვას დავინწყება არ უნერია.


„ჩვენი სკოლა იხსენებს 9 აპრილს“ – ასეთი იყო სახელწოდება ღონისძიებისა, რომელიც თბილისის მე-9 საჯარო სკოლაში გაიმართა და რომელსაც ესწრებოდნენ: ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილე გონა ჯანელიძე, გამგეობის კულტურის განყოფილების უფროსი თეა ხოფერიანი, რესურსცენტრის წარმომადგენელი – თამარ სესიტაშვილი, 9



▶▶ გაგრძელება მე — 2 გვ.

ემიგრანტის ნოსტალგია და პოეზია

მისი შემოქმედებასთან კავშირი ექვსი წლის ასაკიდან დაიწყო, ახსოვს ის ემოცია, რომელიც მის პირველ ლექსს მოჰყვა. მერე იყო საკუთარი თავის ძიების ეტაპები... მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატობაზე არასოდეს უოცნებია, მაინც ადვოკატი გახდა, ოჯახს ძალიან ადრე მოეკიდა, ჰყავს ორი ვაჟიშვილი: თორნიკე და საბა. პიროვნებად ჩამოყალიბებას მშობლებს და ოჯახს უმაღლის, ყველა წარმატებას, ყველა გამარჯვებას მშობლებს უძღვნის, „სახალხო განათლების“ ფურცლებიდანაც მონატრებულ მამას უნდა მიეფეროს, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, მისი დიდი მეგობარია. მოკლედ, ნომრის სტუმარი გახლავთ წარმოშობით გორელი შემოქმედი ქალბატონი, ქეთი ატენელი (ქეთევან ბზიშვილი). ამ ფსევდონიმს მისი ულამაზესი სოფლის ატენის სიყვარულით ატარებს, სამშობლოსგან მოშორებით მყოფს ენატრება მშობლიური კერა, მამა-პაპისული კარ-მიდამო. ქეთი საინტერესო, ორიგინალური ხმის პოეტი აღმოჩნდა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, ბოლოს კი, ქეთი ატენელის რამდენიმე ლექსსაც „გაგასინჯებთ“.



კლასში ჩემი პირველი მასწავლებლის ვერა რამაზაშვილის დავალებით დავეწერე. მასწავლებელმა შემაქო „დიდებული ლექსი შეგიქმნიაო“. დღესაც მასხოვს ის ემოცია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მასხოვს ეს ლექსი. იმ დღიდან მოყოლებული ვწერ. ჩემი ქართულის მასწავლებელი, თამარ ცერცვაძე „მოსე მწერალს“ მეძახდა, მეც ბავშვურად ამაყი ვიყავი ამით.


- ყველაზე მეტად მაინც სკოლის პერიოდი დაგამახსოვრდათ, წარმატებული და მისაბაძი მოსწავლე იყავით ალბათ.
- წარმატებული მოსწავლე არ ვყოფილვარ, თუმცა, ყველა მასწავლებელი ხაზს უსვამდა ჩემს ნიჭიერებას. როცა ცამეტი წლის გავხდი, როგორც ნიჭიერი მოსწავლე, სკოლამ გამაგზავნა სასწავლებლად ქობულეთის ერთ-ერთ სკოლაში. ჩემი იქ ყოფნის პერიოდს დავმთხვა ნახატების გამოფენა-კონკურსი, სადაც წარდგენილი იყო საქართველოს სკოლების მოსწავლეთა ნახატები. გამოფენა ბათუმში ჩატარდა. მეც მივიღე მონაწილეობა და ჩემმა ნამუშევრებმა პირველი ადგილი მოიპოვა. ამ წარმატების ემოცია და განცდა წარუშლელია ჩემში.
- ბეჭდურ მედიასთან ბავშვობიდან თანამშრომლობთ.
- დიას, ბავშვობიდან ჟურნალ-გაზეთების ერთგული მკითხველი ვარ, მიუხედავად იმისა რომ ოჯახში ეკონომიურად არ გვიღიზნდა, მუდმივად ჟურნალ-გაზეთებს ვინერდი, აქტიურად ვკითხულობდი, ვაგზავნიდი რედაქციებში წერილებს, აქეთაც მწერდნენ. ბერძენი



ფოსტალიონი გვყავდა, სავას ეძახდნენ, „პატარა მეგობარო, შენთან რედაქციიდან წერილიაო“ მომახარებდა ხოლმე. ყველა წერილი შენახული მაქვს, ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო ეტაპია. მერე იყო გაზეთები: „ინფოზავრი“, „პიპინია“, „ასავალ-დასავალი“ აქ ჩემი კროსვორდეები იბეჭდებოდა.

- ახლა შეიღებზეც მომიყვით.
- საბა თოთხმეტი წლისაა, წლინახევრის იყო, როცა „შავი პრინცი და ჯოკერის“, „პანოს“ და „ლექსენის“ სიმღერები გააფორმა ცეკვით. ოთხი წლის ასაკიდან „ერისიონის“ სოლისტია, უკვე ათი წელია „ერისიონში“ ცეკვავს, მათ-

▶▶ გაგრძელება მე — 2 გვ.



პირველი გვერდიდან

აპრილს დაღუპული მანანა მელქაძის და ნანა მელქაძე, 143-ე სკოლის დირექტორი თამარ ჭარბაძე, 72-ე სკოლის დირექტორი მანანა კიკაჩიშვილი.

ლონისძიებაზე მოსწავლეებმა ლოცვისა და სანთლების ფონზე გაიხსენეს „ილია II“-ის მიმართვა 9 აპრილის მომთხრობებისადმი. ასევე, მოიგონეს დაღუპული თანამემამულეები და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, წაიკითხეს პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები და შეასრულეს ქართველი კომპოზიტორების სიმღერები: „ტიტები“, „თავისუფალ საქართველოს მზეო“ „შავლეგ, შენი შავი ჩოხა“ და სხვები.

ლონისძიებაზე, დიდი მონონება დაიმსახურა მოსწავლეების: ლაშა შარაბიძის, ლიზა გაგულისას, გუგა მანჯგალაძის, ელენე და სალომე ტლაშაძეების შესრულებულმა სიმღერებმა, მათ აკომპანიმენტს უწევდა მუსიკოსი მაია მარშანია. სტუმრები, ასევე მოიხიბლნენ მოსწავლეების: ვაკო აბრამოვის, ლანა ჩეკურიშვილის, ანა მაკარაშვილის და ანა ბიძინაშვილის მხატვრული კითხვით.

დარბაზში დიდი ოვაცია გამოიწვია და მხურვალე ტაში დაიმსახურა ლუკა ჯანელიძის ემოციურად წაკითხულმა ლექსმა, რომელმაც გულგრილი არავინ დატოვა.



შთაბეჭდავი იყო მე-9 სკოლის მუსიკის პედაგოგის ნანა ზარქუას მიერ შესრულებული სიმღერა: „საქართველო, აყვავდები ისევ“.

მარინა გიგაური, თბილისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორი: აღსანიშნავია, რომ ლონისძიებაში მონაწილეებდნენ მე-7 კლასის მოსწავლეები, რომლის დამრიგებელი გახლავთ ელეონორა ფერაძე, ხოლო სცენარის ავტორია მუსიკის პედაგოგი ნანა ზარქუა. მათ ჩვენც დავეუბნეთ გვერდში და ასეთი ლამაზი ლონისძიება გავმართეთ. 9 აპრილი ჩვენი ერის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია, რომლის მიმართ გულგრილი ვერავინ დარჩება. ეს ის დღეა, სადაც ერთად არის ჩაქსოვილი ტკივილი, პატრიოტიზმი,



თავისუფლების სიყვარული, ერთიანობა. სამწუხაროდ, თავისუფლებისადმი ლტოლვამ შეინარა ჩვენი თანამემამულეები. 9 აპრილის თემა ბავშვებში ინვესტ დიდ შინაგან და ფსიქოლოგიურ გარდატეხას, აღძრავს პატრიოტიზმის გრძობას. სწორედ სკოლის კედლებიდან იგრძნობს ბავშვი, თუ რა არის სამშობლოს სიყვარული, მოყვასისადმი პატივისცემა, თავგანწირვა ქვეყნისთვის და დარწმუნებული ვარ, რომ ეს თვისებები მათ ბოლომდე გაჰყვებათ. ჩვენი სკოლა მონოდეზულის იმისთვის, რომ ბავშვებს მაღალი დონის განათლება მიეცეთ, ჩამოეყალიბათ მათ დიდი პიროვნული თვისებები. ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, ოლიმპიადებში, ვიქტორინებში, ინტეგრირებულ გაკვეთილებში. სულ ახლახან, ჩვენმა სკოლამ ვიქტორინაში „რა, სად, როდის“, რომელიც აკაკი გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა, პირველი ადგილი მოიპოვა. ასე რომ, ჩვენი აღსაზრდელები დიდი შემართებით არიან და მეც, ასევე ყველა პედაგოგი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოსწავლეებს მაქსიმალურად სრულყოფილი ცოდნა გავატანოთ სკოლიდან.

ელეონორა ფერაძე, მე-9 სკოლის პედაგოგი, მე-7 კლასის დამრიგებელი: ლონისძიების ჩატარების იდეა გაჩნდა მაშინ, როცა ბავშვებთან საუბარი მქონდა საქართველოს გმირებზე. მათ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ 9 აპრილის შესახებ და არ იცოდნენ, რატომ

აღვნიშნავთ ამ დღეს. ამიტომ, გადაწყვიტე ლონისძიების ჩატარება. ბავშვები, თავად იყვნენ ჩართულები მის მომზადებაში, მოიპოვეს ინფორმაცია და ახლა, უკვე იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანი დღეა 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში. მიხარია, რომ ასეთი ვრცელი ინფორმაცია მივიწოდეთ ბავშვებს...

ნანა ზარქუა, მე-9 სკოლის მუსიკის მასწავლებელი: მე გახლავართ პიესის ავტორი. ეს უკვე მეორე ლონისძიებაა, რომელიც აღნიშნულ სკოლაში ჩავატარე. ასევე, გვქონდა ძალიან კარგი საახალწლო ზეიმი. მე-9 სკოლა გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, კარგი კოლექტივით. ქალბატონი მარინე შესანიშნავი პიროვნებაა. დირექტორმა და სკოლის დამრიგებელმა როგორც კი მომმართეს, მაშინვე დაგვეგმეთ ლონისძიება და ფიქრობ, მშვენიერი გამოვიდა. ბავშვები, მართლაც ნიჭიერები არიან და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დავალებას. მიხარია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა....

დასასრულს, მინვეულმა სტუმრებმა თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს და აღნიშნეს, რომ ბავშვებმა მშვენივრად გაითავისეს 9 აპრილის ტრადიცია და გულწრფელად გადმოგვცეს თავიანთი შინაგანი განწყობა. აღნიშნული ლონისძიებით, მოსწავლეებმა პატივი მიაგეს დაღუპულ თანამემამულეებს, ჩვენს ეროვნულ გმირებს.

მზია ბოზოძე



პირველი გვერდიდან

თან ერთად მოვლილი აქვს მსოფლიო. ამჟამად გატაცებულია ფეხბურთით. უფროსი ვაჟიშვილი, თორნიკე ოცდაათი წლისაა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. თორნიკეც წერს ლექსებს, უკრავს, მღერის, კარგად იცის საქართველოს და მსოფლიოს ისტორია. მის ლექსებთან დაკავშირებით გარკვეული გეგმები მაქვს, ვნახოთ, რა გამოვა.

- თქვენს შემოქმედებაზე გკითხავთ, რატომ აქამდე არ გამოაქვეყნეთ თქვენი ლექსები? ვიცი, ფინანსური პრობლემები ვერ იქნება მიზეზი, რადგან ჩვენთვის თქვენი ქველმოქმედებების შესახებაც ცნობილია...

- ქველმოქმედებაზე საუბარი არ მიყვარს, ჩემი ლექსები გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას უზოვრებისადმი, ჰუმანური ვალია ლუქმა-პური იმ კატეგორიის ხალხს გავუწინაო, რომელთაც მართლა უჭირთ. ამაში გასაკვირი არაფერია. არასდროს ველი სამაგიეროს განუვლი სიკეთის სანაცვლოდ. გულით ვხარობ, თუ ვინმეს დახმარება შეეძელი. თბილისში, ელიავაზე ასე ვთქვათ, მოკრძალებული ბიზნესი და საკმარისი შემოსავალი მქონდა, შესაბამისად, წიგნის გამოცემაც არ მიჭირდა, მაგრამ საკუთარი თავის მიმართ მეტად კრიტიკული ვარ.

- და მაინც, როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძელით თქვენი შესაძლებლობების რეალიზება?

- უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა, უფრო მეტის მიღწევა შეეძლო. თავმდაბალი რომ ვარ, ცოტა გამბედაობაც მაკლია. ამიტომ დღემდე დაუბეჭდავი მიდევს ნაშრომები. 25 წლის ვიყავი, როცა ჩემმა მეგობარმა ავთო ჩხაიძემ ნახა ჩემი ლექსები, აკინძა, დაარედაქტირა და დასაბეჭდად მოამზადა, მაგრამ მე ვერ გავბედე. მთელი სამეგობრო, საახ-



მომოკლება: ვიქტორ გვიგინი, ეთერ კუზლავილი

ლობლო მარწმუნებს, რომ აუცილებლად უნდა გამოვეცე ლექსების კრებულში.

- გვსურს მკითხველს გავაცნოთ თქვენი ლექსები.

- ჩემთვის პატივია ეს შემოთავაზება, მგონი ამისი დროც დადგა. მკითხველის შეაფასება და კრიტიკა ჩემთვის მისაღებია.

- ყველაზე მეტად ვისი შეფასება გაინტერესებთ?

- პირველ რიგში ჩემი მოხუცი მამა მინდა გავახარო. ის ჩემი დიდი მეგობარი და გულმემატყვიარია, შესაბამისად, მისი შეფასება ყველაზე ძვირფასია ჩემთვის.

- ვიცი, რომ გაურკვეველ ვითარებაში დაიკარვა თქვენი ნაშრომების უმრავლესობა...

- ეს ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო, იმ პერიოდში ჩემი რომანი ნახა და შეაფასა მწერალმა ომარ გოჩელაშვილმა და მაღალი შეფასება მისცა, დამპირდა გამოცემაში დახმარებას, მაგრამ სამწუხაროდ, ნაშრომები დაიკარგა.

მქონდა. ძნელია უცხოებაში ყოფნა. ჩემი სამშობლო, ჩემი სალოცავები მენატრება. სიონის ტაძარში დანთებული სანთლის სურნელი მენატრება, ჩემი მოძღვარი, თავმას ჩოხელი მენატრება. აქაც არის ქრისტიანული ეკლესია, დავდივარ, ვლოცულობ, ვანთებ სანთლებს, მაგრამ შენი სამშობლოს სურნელი სულ სხვა რამ არის. გაზაფხული აქაც მოვიდა, აქაც აჭიკჭიკდა მერცხალი, მაგრამ ჩემთვის ჩვეულებრივი დროა, მე ჩემი სამშობლოს გაზაფხული ყველაფერს მირჩენია, ის ენძელები მენატრება, რომლის საქებნელადაც მე და დედა კოლომეტრებს გავდიოდით.

- როგორია სამომავლო გეგმები?

- მართალი გითხრა, საქართველოდან არც წავსულვარ, მთელი არსებით, გონებით, ფიქრით იქა ვარ. მაქვს ძალიან ვრცელი სამომავლო გეგმები, ოცნებები და სურვილები, ერთი სული მაქვს, გულში ჩავიკრა ჩემი მეგობრები, ახლობლები, ნათლები.

- ყველა ოცნების ასრულებას გისურვებთ.

- გმადლობთ! მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღდგომა მივეულოცო სრულიად საქართველოს და ჩემს განუყრელ მეგობრებს: თამაზ (შუქრი) დვალიძეს, თამარიკო გვერდნითელს, თამარ ჩხიკვაძე-კიკნაძეს, თორღვა დაიაურს, ირინა ლუკიანოვას, ხათუნა ჩეგელიძე-რაჭველს, ქეთევან გრიგოლაშვილს, ანო კახარაშვილს, თამუნა ბიშვილი-კვანტალიანს, ნანა ლოტიშვილს, ნონა ქარქიშვილს, ლევან ნაზაბულს, ია (მანანა) გიგაურს, მარგო (მაცაცო) ჩუბინიძეს, ქეთევან ადამიას, გულნარა თავართქილაძეს... ასევე, დიდი სითბოთი მინდა მოვიკითხო ჩემი უცხოელი მეგობრები: **Uzeyir Ozeyranoglu, Reyhan Durmsh.** ეს ხალხი ჩემი სიმდიდრეა, ჩემი სულის ნაწილი. მადლობა უფალს, რომ მათი სიყვარული მაჩუქა!

ირმა მეზონია

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!“



პარბა ხანია, 14 აპრილი სა-ქართველოში დედა ენის დღედ დამკვიდრდა. 38 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ ენას - სახელმწიფო ენის სტატუსის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა და ქართველი ხალხი, საპროტესტო აქციით წინ აღუდგა საბჭოთა იმპერიის საშინელ ჩანაფიქრს. მთვარობა იძულებული გახდა, ქართული სახელმწიფო ენად გამოეცხადებინა.

მას მერე დედაენის დღე ტრადიციულად, საქართველოს ყველა სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში აღინიშნება.

ეს დღე საზეიმოდ ჩატარდა ასევე თბილისის **106-ე საჯარო სკოლაში**, რომელსაც ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრი გულიკო ზუმბაძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი **ლია ჯახველაძე**, სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე **ავთანდილ დისაშვილი**, მაჟორიტა-

რი დეპუტატი **ია მაკასარაშვილი**, რესუსცენტრის უფროსი **მეგობრის ტიაშვილი-ნიკოლაური**, გამგებლის წარმომადგენელი **მერი აფციაური**, რაიონის პროფკავშირის თავჯდომარე **გულიკო ამილიძე**, ასევე დირექტორები რაიონის 81-ე, 83-ე, 103-ე, 107-ე, 124-ე, 215-ე, 70-ე, 92-ე სკოლებიდან. **მაგდა ბარამიძე**, **ნინელი ადამაშვილი**, **არჩილ ჩხაიძე**, **გიორგი ურაცე**, **მადონა მუშლაძე**, **ალექსანდრე კეჩიკაძე**, **ვალერიან გიორგაძე** და **მიხეილ ჩიქოვანი**.

ლონისძიებზე, დირექტორმა **თენგიზ გულორდავამ** საზეიმოდ გახსნა დანწყებითი კლასების კორპუსი, რომელიც ახლახან გარემონტდა და აღიჭურვა ევროპული სტანდარტის ინვენტარით. ამერიდან, აქ 6 პირველი კლასი იქნება. პატარებისთვის სკოლაში, მართლაც, ზღაპრული სამყაროა შექმნილი. ოთახებს და დერეფ-

ნებს ამშვენებს მაღალი ოსტატობით შესრულებული სხვადასხვა ნახატები და მონუმენტური პანო. ილუსტრაციების ავტორია მხატვარი **დათო ასლანიშვილი**.

სალამოს ორგანიზატორი გახლდათ, ქართული ენისა და ლიტერატურის ლეანდოსილი პედაგოგი **ლია ზურაბიშვილი**. იგი არაერთი ლონისძიების ავტორია და მოსწავლეებს ცოდნასთან ერთად, სამშობლოსა და დედაენის სიყვარულს ასწავლის. ლონისძიების მომზადებაში, ქალბატონ ლიას გვერდში ედგნენ სკოლის დამრიგებლები: **დარეჯან კონტრიძე**, **რიტა ყიფშიძე**, **მარინე კუპატაძე** და სხვები.

ზეიმზე, ბავშვებმა თეატრალიზებული სანახაობა წარმოგიდგინეს. ნაიკითხეს დედაენისადმი მიძღვნილი პოეტთა ლექსები და ამონარიდები ქართული ენის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, შესრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები. განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა **სალომე ხუჯაძის** და **რეზი დიდუბაშვილის** მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. უნდა აღინიშნოს, რომ რეზი ანსამბლ „ახალი ხმის“ გამარჯვებულია.



ლონისძიებას მეტი ხიბლი და ცხოველყოფილება შემატეს 106-ე სკოლის ლიტერატურული კლუბის წევრებმა: მე-9 კლასელმა მარიამ ცუხიშვილმა, მე-8 კლასელმა ანა კუტუბიძემ, მარიამ ჩიქოვანმა, მარიამ სართანიამ, გვანცა ჩხეტიანმა, რეზი დიდუბაშვილმა, სალომე ხმალაძემ, სალომე ხუჯაძემ, ვაჟა ლუტიძემ, გუგა ცუხიშვილმა; ასევე, მე-52 კლასის მოსწავლეებმა: **ნინო მესროფაშვილმა**, **გიორგი ჭილაძემ**, **ლუკა კურტანიძემ**, **გიორგი ნაცვლიშვილმა**, **საბა კირკიტაძემ**, **ანა მაკარიძემ**, **ლიზი გულბანმა**, **ნინო დევროზაშვილმა**, **ანა ანთიძემ**, **ლიზი გამეზარდაშვილმა**, **ლიზი გარსევანიშვილმა**, **მარიამ დავითაშვილმა**, **ნია კილასონიამ**, **სესილი მგალობლიშვილმა**, **ანასტასია სიჩევსკიმ**, **გიორგი ცუცქერიძემ** და **მარიამ ჯაიანმა**.

დიდ ეკრანზე ნაჩვენები იყო უძველესი ხატები, სამონასტრო კომპლექსი, საქართველოს გეოგრაფიული რუკა და ტაძრებზე აღმოჩენილი უძველესი წარწერები.

საინტერესო იყო პირველკლასელების მიერ შესრულებული, პატარა ეპიზოდი **გურამ მაისურაძის** მოთხრობიდან „**სადღევრძელო**“. ბავშვებმა გააცოცხლეს პერსონაჟები **იაკობ გოგებაშვილის** „**დედაენიდან**“ და კოსტუმირებული, მშვენიერი სანახაობა წარმოგიდგინეს. სტუმრები მოიხიბლნენ მოსწავლე-

ების არტისტიზმით და გამართული მეტყველებით, რისთვისაც შექება დაიმსახურეს.

ლია ზურაბიშვილი: „ო, ენავ ჩემო“ – ასე ჰქვია დღევანდელ ლონისძიებას, სადაც ბავშვებმა წარმოგიდგინეს ქართული ენის თავგადასავალი. მოსწავლეები საგანგებოდ მოემზადნენ და სერიოზულად მოეკიდნენ დაკირებულ მოვალეობას. საერთოდ, ყოველი ლონისძიება არის გაკვეთილის გაგრძელება, სადაც ცოდნის თვალსაწიერი ფართოვდება და აღსაზრდელები იძენენ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს. ბავშვები შეეცადნენ, კარგად წარმოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობები და მოწვეული სტუმრებისთვის საინტერესო სანახაობა ეჩვენებინათ. აღნიშნული ლონისძიებით, პატივი მივავთ მშობლიურ ენას და ეს დღე ბავშვებს არასოდეს დაავიწყდებათ. სტუმრების და მამყურებელთა საერთო განწყობილებიდან იგრძნობოდა, რომ მიზანს მივალნიეთ.

სამწუხაროდ, დარბაზის უქონლობის გამო, ლონისძიება ერთ-ერთ საკლასო ოთახში, შევიწროებულ ვითარებაში ჩატარდა. კარგი იქნება თუ შესაბამისი ორგანოები, ყურადღებას მიაქცივენ აღნიშნულ პრობლემას და სკოლას დაეხმარებიან დარბაზის მშენებლობაში.

მზია გომოძე



ქეთი ატენელის პოეტური პალიტრა

ჩემს თვრეიდან ქართულოებს

მე ქართველი ვარ, გაბნეული უცხო მინაზე,
 მე ქართველი ვარ სამშობლოდან გადაკარგული...
 სად უნდა ვიყო, საქართველოვ, დედად გინამე!
 რწმენის სირმებით, გულში მყავხარ ამოქარგული!
 ვერ მოერია სულს ავხელი!.. რა ძალა ჰქონდეს,
 რა იარაღი, ეშმაკს ღმერთი გადაეძალოს?!..
 არა ყოფილა წამი, ყოფნა ცოდვასაც მთხოვდეს,
 ჩემი მამული სიცოცხლეზეც გადამეცვალოს!..
 ჩემს საქართველოს გულ-მკერდიდან შვილი აგლიჯეს,
 აქეთ მე დავრჩი, იქით - "დედა" განანამები...
 ოთხასი წელი განშორება გულზე გვაბიჯებს,
 ოთხასი წელი - მონატრება, განა, ნამები?!..
 სხეული ცეცხლზე ტარდებოდა სულის სათმობად...
 რომ ქართველობის სიცოცხლისთვის, ტანჯვა მერჩივნა,
 ვიდრემდის სუნთქვა, გაყიდულ გულს უღვთოდ დათმობდა,
 ვმღეროდი, სული სამშობლოსთვის გადამერჩინა!
 მე ქართველი ვარ "ფერეიდანს" შებერებული...
 თუმც, მოკვეთილი ჩემს მინიდან და დატანჯული,
 სული ამაყობს დედარწმენას შეფარებული,
 ვერ შეუცვალა უცხო ჰავამ ვერც ზნე, ვერც რჯული!!!
 ოთხასი წელი უშენობა ტანჯვად მაჩნია,
 დედაქვეყანავ, სულის კერძო, დიდო ბუნების!..
 ოთხასი წელი ნატვრას ვერვინ გადამაჩვია, -
 შენი ფესვები, შენი სისხლი, - შინ დაბრუნების!!!

UOZEYRAN

სიცოცხლეს მივყვები იმედით,
 სიკვდილი მომყვება კვალდაკვალ...
 იმედი არ მქონდეს მცირედიც,
 არ წავალ! არ წავალ! არ წავალ!

გაზაფხულს მოვყვები ფერიად,
 ერთი სიცოცხლის სურნელი...
 სიკვდილიც, რალაც ფერია,
 სიცოცხლესავით სულერთი...

ამ წუთისოფლის ერთ კუთხეს,
 ჩემს გულზეც მოვა ენძელა,
 ნუში საფლავსაც მიკურთხებს,
 ალერსი აროს ეძნელა.

საპატარძლოში ტყემლების,
 ნეფეს მეც დაველოდები...
 ატმები მომრწყავს ცრემლებით,
 იებად განვმეორდები...

დღეს კი - აქა ვარ ღმერთფერავ
 და შენს მზეს ველიცილები...
 არავინ მიყვარს შენფერად,
 შენს სუნთქვას დაგეფიცები!!!..

ავგო, ვუშინაც, ვიჟი მინოციც...

ავგო, ვუშინაც, ვიჟი მინოდეს,
 - სახლი არ აქვს და რაც აქვს არიგებს...
 ღმერთო, შენ ხელი გამომიწოდე,
 შენს მეტი, კარგს, ვინ რას დამარიგებს...

მივდივარ, ქუჩად შემომხვდა ბავშვი,
 მე ჩათბუნებულს, შიშველი მიმზერს,



ქეთი ატენელი



ქეთი შვილებთან

სხვა არაფერი მომსვლია თავში,
 თუ არა, ჩემში ვეძებდე მიზეზს...

ჰოდა, გავიხდი, ჩავაცმევე ობოლს,
 ნაკლულს ალერსის, ჩავიკრავ გულში...
 დღეს ლუკმაპურით, კი ვივსებ გოდორს,
 მაგრამ არ მქონდა, მეც ლუკმა გუშინ...

იქვე, მოხუცმა გზად ჩამიარა,
 მიუსაფარმა, ნამკიდა თვალი,
 გულზე სიკვდილმა გადამიარა,
 ჩემს ცხოვრებაზე, დავექეი მწყრალი...

ვერ მოვიხდინე ტანზე სამოსი,
 კუჭში საჭმელის სიმუჯე ვიგრძენ...
 ატყდა ფიქრების დავა-ქაოსი,
 - სიყვარულს მოკლე ჰქონია სიგრძე...

ისინი გვიბლავს, ვისაც ვეფერით,
 ვინც -ზარზეიმით მოგვაგებს სალამს...
 თურმე, ღიმილიც, ერთი შეხედვით,
 გულს ათასგვარი ცოდვებით კალავს...

- არ განვიკითხავ უფლის განსაკითხს,
 „ისინიც“, თვისი ცოდვებით, მენვის,
 ეწირებიან, სულის გასაყიდ
 ოქრო-ვერცხლს, რალაც, ოდენა ბენვის...

მუცელავსილი, ველარც კი ამჩნევს
 მშიერს, ღვთისკენაც არ გაიხედავს...
 „მადლო“, ხორცს, თუ ძლომას შეაჩვევ,
 მერე, მშიერ სულს, ვინ გაგიხედნავს?!..

თუ, არც კი იცი, უფლის მარცვალო,
 შენი ცოდვისთვის, ძე ღვთის ენამა,
 ეშმაკს თავი, რომ არ ანაცვალო,
 სულის ხსნისათვის, ღმერთი გენამა...

მოხუცის ხელებს ვემთხვიე კრძალვით:
 - გთხოვთ, ვისადილოთ, ვუთხარი, სადმე.

მომჩერებია თვალთა დაძაბვით,
 - გამშორდი, მანაც გიყოო, მაგდებს.

ვერ დაეჯერა „ცხადი“, ამგვარი,
 თუმც, ჩემს სახეზე ნაკითხვა სურდა...
 ადამიანი - მხეცთან ნაჯვარი...
 იმ წუთს, მეხცემულს, მკვდარისა მშურდა.

მშურდა და ცოდნის წყურვილი მკლავდა,
 დამესვა კითხვა მდიდრისთვის, ერთი
 - უფლის ქმნილებას თუ რითი გავდა,
 რით გაერჩია შავი და თეთრი...

მინდოდა მეთქვა, - მდიდარო ჩემო,
 რა ცდუნებაა ბრჭყვიალა ფარჩა,
 სრა-სასახლეებს, როგორა ჩემობ,
 შენს და-ძმას, ქობიც, თუ კი არ დარჩა?!

დღე, როგორ მიგყავს ღამემდე, მშვიდად,
 ჭამე, გაძეხი „ობლის კვერამდე“,
 კუჭამოვსილი წვები და ფშვინავ,
 ღმერთი არ არის, არა, შენამდე?!..

შენც მებრალეები, კი არ გინყრები,
 „ბავშვი“, „მოხუცი“ მადარდებს, მაგრამ
 გლოცავ, შენ მეტად, არ მავინყდები,
 სული განუხებს, ვერა ხარ კარგად...

* * *

მივალ, ვაგროვებ გზადაგზა ტკივილს,
 ვარიგებ ღმერთს, რაც მბადაია,
 - გიჟია - უკან ვილაცა კივის
 - არც ქუდი აქვს და არც ნაბადაია...

შენ, თუ გინოდა, ვილაცამ ღმერთი,
 როდი ყოფილხარ „გიჟზე“ ჭკვიანი...
 სჯობს მოაცილო სულს „მძიმე კეთრი“,
 ვიდრე, არ არის, ჯერაც, გვიანი...

ვერ გავერევი აღმასის მონებს,
 არ მსურს სიმშვიდე, მტირალის გვერდში,
 უყველაფრობა ვერ შემალონებს,
 მეყოფა სულის ცხოვნება ღმერთში!

მეძახე გიჟი, გზა-არეული
 „ჭკვიანო“, თავზე ზეგანდილებით,
 უფალს ვეჩვენო გამორჩეული...
 - მე ვერ შევცოდავ, ვერ გავმდიდრდები!!!

რასაც, რომ მომცემ, უქონელს მივცემ!
 ღმერთო, უკან მგზავრს, დაველოდები!
 სხვაზე მეტობის სურვილებს დავცემ!
 ნინმდგომს, აროდეს გავეტოლები...

„ჭკვიანო“, შენ, თუ არ დამინახავ,
 არ მიმასპინძლე და ხელი მკარი,
 გულში, მე ლოცვად შემოგინახავ,
 მეკმარის, - ღმერთმა გამილოს კარი!!!

ლეიზი

მე შემიძლია მივეფერო
 გიჟსაც, ჭკვიანსაც,
 სადაც, სიკეთით იკვებება
 გული, მზიანი...
 ფეხს ავარიდებ ავსულიერს,
 მავნე ჭიასაც,
 მკვლელობის ცოდვით,
 არ მივაყენო,
 რომ გულს ზიანი!

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სიკეთის სამსახურში

მომავალი თაობის ჰარმონიული განვითარების გარანტი

არაქიბაძეშვილად ლამაზ შენობაშია მოთავსებული დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის რაიონის ფილიალი. ახლახან ვესტუმრეთ მას და მის ხელმძღვანელს, გამოცდილ, ერუდირებულ პედაგოგს **ლამზირა მელქაძეს**. ასევე, შევხვდით ისტორიის საგნის მეთოდისტ **ლიანა ნატროშვილს**. დედაქალაქში ფუნქციონირებს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ცხრა რაიონული ფილიალი. მთლიანად ხსენებული სტრუქტურის დირექტორია განათლებისა და აღმზრდელობითი საქმიანობის გამოცდილი სპეციალისტი, შემოქმედი პიროვნება **მანანა წნორიაშვილი**. სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მდებარეობს **კახეთის გზატკეცილის - 56**-ში.

ორმოც წელზე მეტია ეს სახლი არსებობს და ამ სტრუქტურის კოლექტივის მთავარი ამოცანაა სხვადასხვა წრეებში გაერთიანებულ მოზარდებს მისცეს სკოლის-გარეშე დამატებითი განათლება, ჩამოუყალიბოს მოქალაქეობრივი აზროვნება, ჩააბას ჯანსაღი ცხოვრების ფერხულში.

აღნიშნული სახლის პედაგოგული მუშაობის მიზანობაა მიკროუბნის მცხოვრებთა გულის გასახარად. მისი მომსახურების სერვისპაკეტი გათვალისწინებულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათ შორის სოციალურად დაუცველების, ნიჭიერი ბავშვების და სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის. ცნობისთვის: სადღეისოდ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალში ფუნქციონირებს 22 სხვადასხვა წრე, სადაც 900-მდე ბავშვია გაერთიანებული. მათგან წრეობრივ საქმიანობაში ჩართულობის საფასურს იხდის - 464, უფასოდ მეცადინეობს - 250 ბავშვი, მერიის მიერ ფინანსდება - 16 წარჩინებული მოსწავლე.

წრეებს უნარიანად ხელმძღვანელობენ გამორჩეული სპეციალისტები: ქორეოგრაფიას - **ყაზბეგ ბანეთაშვილი**, ჭადრაკს - **მარინა დასნი**, კალათბურთს - **ავთანდილ აბრამიძე**, ზოგად უნარებს - **იური ხაჩიძე**, ისტორიას - **ლია ნატროშვილი**, ფიზიკას - **ლია გონაშვილი**, ქიმიას - **ნატო ომანიძე**,

ქართულ ენა-ლიტერატურას - **გოჩა სახაძე**, გიტარაზე დაკვრის შემსწავლელ წრეს - **ნატო დედარიანი**, ძიუდოს - **ილია ჩიმიური**, მხატვრული ტანვარჯიშს - **თამილა ტლაშაძე**, მათემატიკას - **სუსანა ბასიაშვილი**, ვოკალს - **თინა იმერლიშვილი**, სამეჯლისო ცეკვას - **თამარ კახაბრიშვილი**, ხატვას - **ციხანა მშვენიერიძე**, უცხო ენების - **თამარ აბაიშვილი**, **ნატო ფაილოძე**, კარატეს - **მალხაზ აბრამიშვილი**. მაღალი პროფესიონალიზმითა

და ესთეტიკური ხიბლით ჩატარდა ქართული ცეკვებისა და მხატვრული ტანვარჯიშის წრეების ღია საჩვენებელი მეცადინეობები.

ეს ჩამონათვალი კარატივი დავამთავრეთ. აქვე გვსურს მკითხველს ვაუწყოთ, რომ 24 აპრილს ჩატარდება სპორტის აღნიშნულ სახეობაში ღია ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის კარატე „**დომი**“ (ფედერაციის პრეზიდენტი **კახა ბასილაია**, კურატორი - **მალხაზ აბრამიშვილი**).



მეტად საინტერესოა აქ გათვალისწინებული ღია გაკვეთილების განრიგი სასწავლო წლის პერიოდისთვის. ასე, მაგალითად, მათემატიკაში თემაზე კვადრატული განტოლების ამოსხნა „**ვეტის თეორემა**“ VII-IX კლასელთა ასაკობრივ ჯგუფში, სვანური ფერხულები: „**ყავსან ყიფიანი**“, „**თამარ დედოფალი**“, „**სასცენო ხელოვნების დახვეწა ანსამბლებისთვის**“, „**კრიტიკული აზროვნების განვითარება**“, „**თბილისი კულტურათა გზაჯვარედინზე**“, „**მე ვამყარებ კომუნიკაციას**“ და სხვა თემატიკაში უფროსკლასელთათვის.

პედაგოგები ცოდნისა და უნარის მობილიზებით ძალ-ღონეს არ იშურებენ დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. მათი აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ როგორც რესპუბლიკურ, ასევე, საქალაქო ღონისძიებებში. ცენტრალური ადმინისტრაციის ტრენინგებში ჩართული იყვნენ პედაგოგები: **ნატი ფაილოძე** (ინგლისური), **ნატო ომანიძე** (ქიმია), **ლია**

ნატროშვილი (ისტორია), **ნატო დედარიანი** (გიტარა), მათზე გაცა შესაბამისი სერთიფიკატები.

შარშან განსაკუთრებით გამოირჩეოდა კალათბურთის წრე (პედაგოგი **ავთანდილ აბრამიძე**). კონკურსში „**წლის საუკეთესო წრე**“ დამისახურა „**წლის საუკეთესო**“ ჯილდო. გამორჩეული იყო შემაჯამებელი ღონისძიება „**კიდევაც დაიზრდებიან**“. დედაქალაქის მასშტაბით მაღალი შეფასება მიეცა მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონული სახლის მუშაობას.

მეტად პოპულარულია ჭადრაკის წრის (პედაგოგი **მარინა დასნი**) საქმიანობა. შამილ დაშნის მემორიალურ შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა **გიორგი ოკოევმა**, მეორე - **დავით უვანიამ**, მესამე - **ნიკა ჯოგლიძემ** და **ნიკა ლონდარიძემ**. ნელს ჩატარებულ ტურნირში „**ვინ არის ყველაზე საუკეთესო?**“ ბევრი მონაწილე დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებითა და წიგნებით.

►► **გაგრძელება მე - 6 გვ.**

►► **მე-5 გვერდიდან**

ამ სახლში 20 წელზე მეტი მუშაობდა ცნობილი საქადრაკო კომპოზიტორი და მწვრთნელი **შამილ დაშნი**. მან ბევრი ნორჩი მოჭადრაკე დააკვალიანა. სახლს უსახსოვრა მის მიერ დაწერილი ნიგნი „ჭადრაკის სიბრძნის სამყაროში“. მისი ქალიშვილი მარინა ამჟამად აქ ჭადრაკის წრის პედაგოგია.

გვასახელებს ძიუდოს წრის ხელმძღვანელის, ახალგაზრდა **ილია ჩიმჩიურის** აღსაზრდელებმა. მოსწავლე **ომარ ნიაზაშვილი** 2010 წლიდან დღემდე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის ორჯერ გამარჯვებულია. 2013-2014 წლებში იგი საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა. მას ძიუდოს ფედერაციამ სპეციალური სტიპენდია დაუნიშნა. 2016 წელს პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა **ირაკლი ხერგიაშვილი** (156-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ). იგი ამჟამად იმყოფება საფრანგეთში, სადაც ევროპის ჩემპიონი გახდა. ამჟამად მიემგზავრება რუმინეთში მსოფლიო ტურნირზე.

ომარ ნიაზაშვილი (უკრაინის ახალგაზრდობის ტურნირის ჩემ-

პიონი) ლონდონის 2014 წლის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები არიან. 2015 წელს კი ბავშვთა შორის მსოფლიოს ჩემპიონები **ლუკა გულედანი** და **ვაჟა გუჯეჯიანი** გახდნენ.

დირექცია სიხარულით შეხვდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აქ ამერიკელებს უკანასკნელ დღეთა წმინდა იესო ქრისტეს

ფონდის და მოსწავლეთა სახლის დირექციის დაფინანსებით გაიხსნა კულინარიის წრე **დიანა ლაბაძის** ხელმძღვანელობით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა **ლ. ნატროშვილის** ხელმძღვანელობით შეიმუშავა საინტერესო პროექტი „**ალმოაჩინე საქართველო**“. დღითიდღე მტკიცდება სახლის ტექნიკურ-მატერიალური



ბაზა. ა. წ. 1 მარტს მოხდა შენობის გაზიფიცირება, ამჟამად გათბობის სისტემა. მერიის დაფინანსებით გამოცვალა კარფანჯრები. დირექცია მადლიერია ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურის მუშაკების – ია მაქაცარიას, ია ქარდავას და **რამაზ ბერსონაძისა** თანადგომით.

თბილისის დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის დირექტორის **მანანა წნორიაშვილის** მხარდაჭერით რემონტი ჩაუტარდა რამდენიმე წრის სამუშაო ოთახებს.

დირექტორი **ლამზირა მელქაძე** ამჯერად ცდილობს როგორც უახლეს მომავალში კორპუსს მთლიანად ჩაუტაროს კოსმეტიკური რემონტი. ორიოდ სიტყვით ქალბატონი ლამზირას პიროვნების შესახებ. შემოქმედი დირექტორი ოთხი ათეული წელია ნაყოფიერად უძღვება სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საქმიანობას. იგი ღირსების ორდენის კავალერი გახლავთ, არის სამგორის რაიონის საპატიო მოქალაქე, ორჯერ იყო სკოლისგარეშე დაწესებულების წლის საუკეთესო ნომინაციაში გამარჯვებული.

აი, როგორი მჭეფვარე ცხოვრებით ცხოვრობს სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

გისურვებთ მეგობრებო, ახალ-ახალ გამარჯვებებს!

რომან მოსაშვილი

2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თითოეული საგნის მაქსიმალური/ მინიმალური გამსვლელი ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

საგანი/გამოცდა	მაქსიმალური ქულა	მინიმალური გამსვლელი ქულა	გამოცდის ხანგრძლივობა
ქართული ენა და ლიტერატურა	80	21	4 საათი და 15 წუთი (დაემატა 15 წუთი)
ზოგადი უნარები	80	24	ვერბალური ნაწილი 1 საათი და 35 წუთი (დაემატა 5 წუთი)
			მათემატიკური ნაწილი 1 საათი და 35 წუთი (დაემატა 5 წუთი)
უცხოური ენები	100	21	2 საათი და 40 წუთი (დაემატა 10 წუთი)
ლიტერატურა	80	21	4 საათი და 15 წუთი (დაემატა 15 წუთი)
მათემატიკა	59	15	3 საათი და 40 წუთი (დაემატა 10 წუთი)
ისტორია	70	18	2 საათი და 40 წუთი (დაემატა 10 წუთი)
გეოგრაფია	59	15	2 საათი და 40 წუთი (დაემატა 10 წუთი)
ბიოლოგია	70	18	2 საათი და 30 წუთი
ქიმია	75	19	3 საათი და 40 წუთი (დაემატა 10 წუთი)
ფიზიკა	75	19	3 საათი და 40 წუთი (დაემატა 10 წუთი)
სტუდენტთა საგრანტო კონკურსი	42	-	2 საათი და 35 წუთი (დაემატა 5 წუთი)
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	70	18	3 საათი და 30 წუთი
სამოქალაქო განათლება	60	16	3 საათი და 10 წუთი (დაემატა 10 წუთი)
აფხაზური ენა	80	21	4 საათი და 15 წუთი (დაემატა 15 წუთი)



თარიღები, რომელიც უნდა ვიცოდეთ: 1831 წელს დაიბადა იაკობ გოგებაშვილი.

1901 წელს სოფელ ვარიანში, გოგებაშვილის სახლის ერთ პატარა ოთახში, რომელიც თავად იაკობს ეკუთვნოდა, მისივე ინიციატივით სოფლის გლეხების შვილებისათვის სკოლა გაიხსნა.

1865 წელს იაკობმა გამოცა „ზნანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“.

1876 წელს სტამბის საწყობიდან გამოვიდა გოგებაშვილის შედგენილი სასწავლო სახელმძღვანელო „დედაენა“.

1978 წლის 14 აპრილს თბილისში რუსთაველის გამზირზე ქართული ენის სახელმწიფო ენა დაკანონების მოთხოვნით ათათასობით მომიტინგე შეიკრიბა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ქართული გამოცხადდა.



14 აპრილი საქართველოში – ყველგან, მაგრამ განსაკუთრებულად აღინიშნა გორში, კერძოდ, იაკობის მშობლიურ სოფელ ვარიანში, მისივე მუზეუმის მახლობლად, ვრცელ მოედანზე, ღია ცის ქვეშ. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ენის საჯარო დღესასწაული და ყველა მონაწილის განწყობა სწორედ იმის, ასე, ღონისძიების ღია, ცის ქვეშ ჩატარებას ითხოვდა და ინატრებდა, ისიც გაზაფხულის სიმწვანით და ხეთა ყვავილობით დამშვენებულ სოფლის გარემოში, საიდანაც, თითქოს ჰორიზონტის ოთხივე მხრიდან დიდი წინაპარი გვიმზერდა გულაართოლოებული მეცხოვრის ფიქრით და ათასი კითხვით შეჭირვებულნი.



...გზა – თბილისიდან – გორამდე – არცთუ მოკლეა და ავტომანქანაში მსხდომთ ფიქრისთვისაც გვრჩება დრო. საჯარო-სადღესასწაულო ღონისძიება დღის პირველ საათზე დანიშნული, მანამდე კი ვისხენებთ: იაკობი უდიდესი ქართველია, იგი მეცნიერული პედაგოგიის ფუძემდებელია, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალია, ის საზოგადო მოღვაწეა, რომელმაც უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ერს. სოფლის ღარიბი მოსახლეობისათვის ვერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, სკოლა გახსნა და იქიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლომდე, თავად უშვილძირო, ირგვლივმყოფთ ეზმარებოდა სწავლა-განათლების მიღებასა და ყოველდღიურ ყოფაში. შემდეგ კი, თავისივე ანდერძით ყველაფერი, რაც კი გააჩნდა ქონების სახით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. მისივე სურვილით მის დანატოვარ სახლში გაიხსნა სკოლა, სადაც ამჟამად იაკობ გოგებაშვილის მუზეუმი გახსნილია. ამ ძვირფას ადგილს ყოველდღიურად ქართველებიც მრავლად სტუმრობენ და არაქართველებიც.

...დღეს კი, 14 აპრილს, საგანგებოდ მოუწყვიათ სცენა, რომლის ცენტრში იაკობისა და „დედაენის“ დიდი სურათებია. იქვე, მესამე სტენდზე წარწერაა: „მოქმედებიდან – შემოქმედებამდე“, გორის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დევიზი, რომლის ეგიდითაც 14 აპრილის ღონისძიება ტარდება რეგიონის ადმინისტრაციული და ვარიანის ადგილობრივი მმართველობის ხელ-

14 აპრილი - გორში

მძღვანელთა უშუალო მონაწილეობით.

ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორია გორის მუნიციპალიტეტის კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი გულიკო ბზიშვილი, რომელიც, გავუსწრებთ მოვლენებს და წინასწარ აღვნიშნავთ, სცენაზე ასვლისას იტყვის: ამ ცენტრის მიზანია, რაიონის ახალგაზრდებში პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენა, მათთვის ხელის შეწყობა, ახალი საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელება, მოსწავლე – ახალგაზრდების დაახლოება წიგნთან და წიგნიერებასთან, ერის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობა, ენათმეცნიერულ ფასეულობებთან ახალგაზრდების ზიარება, შიდა ქართლის მხარის მწერლობის შემდგომი აღორძინება, ნიჭიერი მოსწავლეებისათვის მორალური და ფიზიკური მხარდაჭერა,



ჩვენი რეგიონის ახალგაზრდობა კარგად უნდა იცნობდეს ქვეყნის ისტორიასა და დღევანდელს, ერის სასიქადლო მამულიშვილთა ბიოგრაფიებს და მათ ღვანლს ქვეყნის წინაშე, ახალგაზრდებს შრომისა და სწავლის საუკეთესო პირობები უნდა ჰქონდეთ და საკუთარი ბიოგრაფიით მაგალითს უნდა უჩვენებდნენ სხვებს, რაც მთავარია, თითოეული და ყველა ჩვენგანი უნდა უფროხიდებოდეს და პატივს სცემდეს მშობლიურ ენას სწორი ზეპირი და წერილი მეტყველებით.

კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ღია ცის ქვეშ შეკრებილთა პედაგოგებსა და მოსწავლეებს მოუწოდა, აქტიურად ჩაებან პროექტში – „საუკეთესო მოქართული“, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო ობიექტებსა და საჯარო დანესებულებებში ქართული ენით მეტყველებისას საკუთარ თავზე კონტროლს და თავის არიდებას ნეოლოგიზმთან, ბარბარიზმთან, არქაიზმთან, ფარგონთან, ბილნსიტყვაობასთან. მუდმივი ყურადღება ერის მარადიული ფენომენის მიმართ – ესაა ამ პროექტის მთავარი მიზანი.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ და მოსწავლე – ახალგაზრდებს საინტერესო სიტყვით მიმართეს გორის რაიონის გამგებელმა **დავით ონიაშვილმა**, შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა **იოსებ ოქროშელიძემ**, გორისა და ატენის მიტროპოლიტმა **მეუფე ანდრია**, პროზაიკოსმა **მერაბ რატიშვილმა**, პოეტმა **ვანო ჩხიკვაძემ**, იაკობ გოგებაშვილის საქართველოს პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა **გარი ჩაფიძემ**, გორის რესუსცენტრის ხელმძღვანელმა, **ზურაბ ქარელმა** ტელეარხ „მეცხტროს“ ჟურნალისტმა **ია თინიკაშვილმა** და როგორც უკვე აღვნიშნეთ, **გულიკო ბზიშვილმა**.

დავით ონიაშვილი: 38 წლის წინ ქართველმა ერმა საჯაროდ და კატეგორიულად გამოხატა თავისი ეროვნული დამოკიდებულება მშობლიური ენის დასაცავად. ენა სახელმწიფოებრივი და სოციალური მოვლენაა, რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. ეს დღეც, საზეიმოდ რომ აღვნიშნა-

ვთ, ენის მიმართ ჩვენი ერის პასუხისმგებლობის განაცხადი და დასტურია. ენას არ ელატება. იაკობის თანამემამულეებს ამ მხრივ ყველაზე მეტი მოგვეთხოვება...

იოსებ ოქროშელიძე: ძირძველმა ქართველმა ერმა, ისტორიულად, ბევრი რამ რომ დაკარგა და ათას ქართველს გაუძლო, შეინარჩუნა თვითმყოფადი ენა სახელმწიფოებრიობის სტატუსით და მხატვრული მომხიბველობით, რომელსაც მომავალმა თაობებმა დიდი ძალისხმევით უნდა მიხედონ...

გორისა და ატენის მიტროპოლიტი **მამა ანდრია:** ...რაც არ უნდა პატარა იყოს ერი, იგი თავგამოდებით უნდა ცდილობდეს მშობლიური ენის შენარჩუნებას, რადგან ყველა ერის ენა საკაცობრიო საგანძურის ნაწილია, ენა ისეთივე დასაცავია, როგორც ტერიტორია, სარწმუნოება, ზნეობა, ერის სულისკვეთება, ზოგადად. ჩვენს ენას ყველაზე თბილი სახელი ჰქვია. მას დედისავე უნდა გაფრთხილება...

მერაბ რატიშვილი: დაუვიწყარ შთაბეჭდილებად მომყვება დღემდე 1978 წლის 14 აპრილს იმ აქციაში მონაწილეობა, ქართული ენის ბედი რომ გადაწყვიტა. ამ მოვლენამ სათავე დაუდო მშობლიური ენის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის ბრძოლას კავკასიის ხალხებში.

ქართული ენა ღვთისმეტყველი ენაა, ჩვენ, მის პატრონებს, ვერავინ და ვერაფერი მოგვერევა...

ვანო ჩხიკვაძე: ბედნიერი და ამაყია ერი, რომელმაც იცის, რომ დაცვა და მოფრთხილება სჭირდება ენას. ქართველებს, სანამ საკუთარი ენა და დამწერლობა გვაქვს, გადაშენება არ გვიწერია.

გარი ჩაფიძე: 14 აპრილი არა მხოლოდ ენის, არამედ მთელი ერის დღესასწაულია. ბედნიერებაა, რომ ამ ერს ჰყავს ენის ისეთი დიდი მოამაგე, ისეთი განათლებული კაცი და ღვანლმოსილი ქართველი, როგორც იაკობ გოგებაშვილია. მისი სახელობის პედაგოგთა კავშირი წლიდან - წლამდე ქვეყნის საგანმანათლებლო ობიექტებში სხვადასხვა სახის ღონისძიებას ატარებს ეროვნული ცნობიერების ასამაღლებლად, საუკეთესო მასწავლებლები ჯილდოვდებიან ი.გოგებაშვილის საპატიო მედლით, მოსწავლე-ახალგაზრდები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ მიზნობრივ კვირეულებსა და სამეცნიერო კონფერენციებში... ამ დღეებში ვგვგვამთ სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას სახელწოდებით „ენა საკვირველი“, რომელიც 14 აპრილს ეძღვნება.

ჩვენი ორგანიზაცია ათასობით მასწავლებელს აერთიანებს, რომელთაც, როგორც ყველა ბავშვს, თავის პირველ სახელმძღვანელოდ, დედაენა ჰქონდა, აქედან იწყება პედაგოგის პროფესიული გზის ათვლა და შეუძლებელია „დედაენის“ სიყვარულის გარეშე, ამ აღმატებული პროფესიისათვის თავის შეწირვა...

ია თინიკაშვილი: საყმაწვილო ჟურნალ „აი იას“ გამოცემის იდეა გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურის საგანმანათლებლო ცენტრს ეკუთვნის. ჟურნალის პირველი ნომერი უკვე დაიბადა და ძალიან მიხარია, რომ მისი რედაქტორი მე ვარ. ეს გამოცემა მიზნად ისახავს შიდა ქართლში

რეპორტი – შიდა ქართლი

მცხოვრებ ძირძველ ქართველებს თუ რეპატრირებულ მესხებს, ეთნიკურ ქართველებსა და ოსებს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რომ ცხოვრობენ, უფრო მეტად შეაყვაროს ქართული სახელმწიფო ენა და თავად ახალგაზრდებმა ითანამშრომლონ ჟურნალთან. პირველ ნომერში შეხვედებით ავტორებს სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა, ისინი თავიანთ მოსაზრებებს გვაცნობენ პრობლემურ საკითხებზე. ჩვენ შიდა ქართლის ყველა სკოლის პედაგოგსა და მოსწავლეს მოვუწოდებთ, ითანამშრომლონ ჟურნალთან, რათა იგი უფრო საინტერესო გახდეს...



საზეიმო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ტყვიავისა და ტირანისის საჯარო სკოლების და მუსიკალური სკოლების მოსწავლეები, რომელთაც მალაქსთეტიურ დონეზე შეასრულეს ცეკვები და სიმღერები 33 ქართულ ასოზე.

ანბანზე დაწერილი ულამაზესი ლექსი ნაუკითხა შეკრებილთ პოეტმა **ვანო ჩხიკვაძემ**.

ღონისძიებაზე სპეციალური დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ ინტელექტუალურ თამაშ „ეტალონი“ გამარჯვებული მოსწავლეები...

ღონისძიებას სხვებთან ერთად მასპინძლობდნენ გორელი პოეტი **ნოდარ მდინარიძე**, პროზაიკოსი **გერონტი გოგინაშვილი**, პოეტი **ვახტანგ ქანკვაძე**, რომლებიც, ამავე დროს ი.გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აქტიური მხარდამჭერნი არიან და უამრავ საინტერესო ნაშრომს უდგანან სათავეში შიდა ქართლში. ამ სამიდან - მცხოვანს, **გერონტი გოგინაშვილს** სულ ჩქარა გორი დაბადებიდან 80 წლისთავს აღუნიშნავს, რაც მისი განუვლი საქმიანობის დაფასება იქნება გარკვეულწილად, ეს ის პიროვნებაა, რომელმაც წლების განმავლობაში საკუთარი დანაზოგებით გააუმჯობესა და ბევრი რამ შესძინა ი.გოგებაშვილის სახლმუზეუმს.

ჩვენი გაზეთი მადლობას უხდის ბატონ გერონტის ეროვნული საქმიანობისათვის და დღევანდელი მასს უსურვებს მას.

დაბოლოს: გორის ცენტრში 14 აპრილს გაზაფხულის ყვავილებით იყენენ გამოშლილი პროსპექტზე **პირველი ბაგა-ბაღის - „ინტელექტის“** გოგო-ბიჭები ხელში ფერად საჰაერო ბურთებზე მიბმული ქართული ანბანის ასოებით და ასფალტზე ხატავდნენ „დედაენის“ მოთხრობების გმირებს.

ბავშვებმა საჰაერო ბურთები ყიფინით გაუშვეს ჰაერში იმის დასტურად, რომ „აი ია“ ყველაზე ძალმოსილი წინადადებაა ქართული ენის ცნობიერებაში და რომ, ეს გენიალური პაწინდრომი არის ყველაზე პატარა და ყველაზე ძალმოსილი წინადადება, რომელმაც ქართული ენა რუსეთის იმპერიის ჩაყლაპვისაგან დაიხსნა.

ამ ბაგა-ბაღის გამგეს, უჩვეულოდ საინტერესო ქალბატონს, ლალი ბაიაძეს, რომელმაც წლების განმავლობაში უდიდესი ამაგი დასდო ასობით პატარის აღზრდას და დღემდე უცვლელად უწერავს მათ ი.გოგებაშვილისა და „დედაენის“ სიყვარულს, გადაწყდა, რომ გადაეცეს ი.გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის სახელით ქართველ პედაგოგთა უმაღლესი ელიტის ჯილდო, იაკობ გოგებაშვილის მედალი.

**ლია მარტაშვილი
ნიმე კაკიაშვილი**



ლალი ბაიაძე

„სეთოს ძმის მისთვის ოქროს ვალოა...“



„ჩვენ მომავლის მშენებელი ხალხი ვართ, დიდ მიზნისთვის ბენვის ხიდზე გავდივართ, მზრუნველობა მასწავლების ვალია, სკოლა არის მისთვის ოქროს ვალია!“

ცია ბორცვაძე

1963 წლის ზაფხულის ცხელი დღე იდგა. ხალხმრავლობა იგრძნობოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. სასწავლებელში ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიებთან სიცილი და ტირილი ერთმანეთში ირეოდა. ჩვენი ყურადღება გაფითრებულმა კაფანდარა გოგონამ მიიპყრო. ალბათ ვერ მოხვდა სასურველ ფაკულტეტზე, - გავიფიქრეთ და თანაგრძნობა გამოვხატეთ მის მიმართ. ეს გოგონა **ცია/ნაილი/ბორცვაძე** იყო. უკვე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი. დიდმა გრძნობამ დაამუხჯა იგი. ჩვენ ერთ ჯგუფში მოვხვდით.

ცია უზომოდ იყო შეყვარებული სამაჩაბლოზე. იგი ცხინვალის რაიონის სოფ. ერედვში დაიბადა და დაფრთხილდა. იქ გაიზარდა მისმა ლალმა, მაგრამ უმამოდ დარჩენილმა ბავშვობამ. ცალუღლად დარჩენილი ულამაზესი დედა არაფერს აკლებდა თავის ერთას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. ორი შეიღის დედამ – **ცია ბორცვაძემ** კასპის რაიონში, ოკამის საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. ოთხი წლის შემდეგ, 1973 წელს, სამუშაოდ გადმოდის ქალაქ თბილისის 140-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იგი აქ დღემდე აგრძელებს პედაგოგიურ მიღვანეობას. **ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ:** რა ნისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავს, მაგრამ პროფესიისადმი თავდადებით, საქმის უდიდესი სიყვარულით ყველაფერს ვაჟკაცურად გაუძლო.

კარგი ფილოლოგი და კარგი აღმზრდელი ყველგან გამორჩეულია. თავისი ფაქიზი ბუნებით, ერთგულებითა და დიდი ენერჯით მისაბაძი პიროვნებაა.

აღფრთოვანებას იწვევს პედაგოგის მიერ ჩატარებული გაკვეთილები. მის მიერ აღზრდილი ნიჭიერი მოსწავლეები დღეს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში წარმატებულად მოღვაწეობენ. ცია მასწავლებელი უხმოდ, დიდი რუფუნებით ძერწავს მომავალი თაობის სულს, მისთვის უცხოა ამბიცია, სწამს: მადლმოსილი საქმე სიკეთესა და სიყვარულს ამრავლებს, ნათელს – ნათელი ემატება.

პედაგოგის ფაქიზ სულს განუკურნებელი იარა დაამჩნია სამაჩაბლოს ომმა. 90-იან წლებში რუსული ტანკების ქვეშ კენსოდა მისი მშობლიური სოფლის, ერედვის მიწა. განადგურდა, იავარქმნილ იქნა მშობლიური სახლი, მომხიბვლელი



ხეხილის ბაღი და დიდი მწუხარების შემდეგ გაჩნდა სიტყვა ლტოლვილი. იგი საკუთარ თავს ლტოლვილად თვლის, ვინაიდან ფიზიკურად თუ სულიერად დაღლილი, ნავსაყუდელს თავის მშობლიურ სოფელში ველარ პოულობს...

ბევრმა არ იცის, რომ ცია მასწავლებელი, ქართულ სიტყვასთან კრძაღვით და სიყვარულით დაკავშირებული მშობლიურ ენას ღმრთის ენად რომ მიიჩნევს, გამუდმებით კინძაცს სალექსო სტრიქონებს და ქალაღღზე გადააქვს. იგი 100- მდე ლექსის ავტორია, თუმცა, არასოდეს უფიქრია სამსჯავროზე თავისი პოეზიის გამოტანა. – მე ჩემთვის ვწერ, ვინმეს ხომ უნდა გაეუზიარო ჩემი მწუხარება თუ სიხარული, - ასეთია მისი მოკრძალებული პასუხი.

ვთხოვეთ რა, ერთად მოეყარა თავი გაბნეული ლექსებისათვის, დაგვეთანხმა და სურვილი გამოხატა მკითხველისათვის ჭაშნიკად შეგვეთავაზებინა ბოლო პერიოდში დაწერილი ერთი ლექსი, რომელსაც სახელად „პოეზია“ ჰქვია.

„სადაც გავივლი, ყვავილები ისმის კისკისი, მაისის დილა მომაგებებს ათასგვარ ფერებს, ლექსი მენყერი თეთრი რაშით მოქრიადდება და ფიანდაზად გაეშლება მორთულ მთა-ველებს. რამდენმა აზრმა უშვილძიროდ გადაიქუხა, რამდენი ლექსი გავატანე ქარსა და ლელეს. წლებმა რომ თმებში შემაფინა ვერცხლის სიმები, მაშინ მოვუხმე ჩემს დაჩაგრულ ლირიკულ ბგერებს. გამიადვილდა შეგროვება ფერთა ნიაღვრის, აქ თეთრი მტრედი მოფრენილა მუზასთან ერთად, მაშ, დავალაგოთ სტრიქონები აღმოდებული და ვახშიანოთ პოეზია, ვიდრე ვართ ქვეყნად.“

ციას ბევრ ლექსში ისმის სამაჩაბლოს დაკარგვით გამოწვეული უსახლერო ტკივილი.

„მენატრება, სამაჩაბლო, გული გადაგშალო. გამოგიტყდე სიყვარულში, ჩემი არ დავიშალო. აგარიდო ავი მზურა, აგარიდო ავდარი, აღარ გყავდეს დევნილი და შვილი დასაკარგავი.“

საოცარი სევდის მიუხედავად, მას მაინც სჯერა მომავლის. ამ განწყობას გამოხატავს ლექსი „ერედვი“.

„ჩემს დაობლებულ სოფელს ვხედავ სიზმარში ხშირად, კვლავ მესიზმრება ღვთის ტაძარი გადარღვეული, უცხო ტომისა ჩაგვისახლდა ოჯახში გზირად და ვართ დევნილი, სამკვიდროდან გამოქცეულნი. შებლაღულია ჩვენი მიწა გაცვლილი ვერცხლზე და ცრემლები სდის კავკასიონს, ჭლარქორჩიანს, პაპას იარაღს აჟღარუნებს ბაღში სხვენზე და ემზადება, შეებრძოლოს მომხედურ გოლიათს. გამოიადრებს, ჩვენს გულგებშიც გამოიადრებს, როცა მზის სხივი შარავანდედს დაადგამს გმირებს, როცა თეთრ მტრედებს გააფრენენ ბაღლები ცისკენ და გაზაფხული მობრძანდება მეფურად ისევ.“

უდაო, ეს ლექსი სამშობლოსადმი სიყვარულის უკეთილშობილეს გრძნობებს უღვივებს მომავალ თაობებს. ლექსში „შინ გეძახიან“ ავტორი უცხოეთში წასვლისა და იქ დარჩენის მანიით შეპყრობილ გოგონას გულწრფელად ურჩევს:

„ნუ გაიჭრები შორეთს, ვერ გამოგარჩევ სხვებში, იებს, ენძელებს, კარგო, აქაც ჩაგინწავ თმებში.“



თავს ნუ დაუხრი უცხოთ, შინ გეძახიან, მოდი, არ მომიტეხო, ქარო, იასამანის ტოტი.“

მეუღლის დაკარგვით გამოწვეული გულის კენესა ისმის ლექსში „ვარდობისთვე“.

„კვირტები დაბერვით ხეებს, მალე აფეთქდება ნუში, ტყემალი საპატარძლო კაბას ვნებით ჩაიხუტებს გულში. ირგვლივ გაზაფხულის სურნელია, გეძებ უშენობა მიჭირს, როგორ მომენატრა თურმე ჩემი ჯოჯოტი ბიჭი.“

უსასრულოდ შეიძლება საუბარი ციას პოეზიაზე, ლექსებზე, რომელთა ფრაზა ფრთიანი, რიტმული და მუსიკალურია. უხვად გვხვდება პეიზაჟის მშვენიერი სურათები. რად ღირს თუნდაც: **გაზაფხულია! ცეცხლის სამოსი ატმებმა ვნებით მოირგეს მკერდზე...**

შვიდ ათეულ წელს მიღწეულმა ლამაზმა ქალმა იცის, რომ ახალგაზრდობა წავიდა, ამიტომ იმძლავრა მოგონებებმა, ამიტომ ეძენება მასთან განშორება:

„გაფრინდა სიყმანვილე, თითქოს და არც კი იყო, საოცარ დღეთა მიღმა იყო და არა იყო. მცირე აღმართი იყო, ზოგჯერ დაღმართიც იყო. გზა ვარდისფერი იყო, იყო და არა იყო. ჭიუხიანი მთების გადავლა იქნებ იყო. იყო... რა იყო ნეტავ, იყო და არა იყო. იქ სიხარული იყო, აქ კაემანი არის, წარსული დარჩა ზღაპრად...იყო და არა იყო.. და სიჭაბუკეც გაქრა, რომელიც გუშინ იყო გადიშრიალეს წლებმა, იყო და არა იყო.“

ჩვენო ცია, შენს ლამაზ ზღაპარს შენი საუკეთესო შვილები; ნინო, ილია და შვილიშვილები გააგრძელებენ, რომელთაც მრავალი ლექსი მიუძღვენი.

ისინი ყოველთვის იამაყებენ მშვენიერი და ნიჭიერი დედით და ბებოთ. ჩვენ კი, შენი ახალგაზრდობის მეგობრებს გვსურს, მოგილოცოთ დაბადების დღე-3 მაისი და გისურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე. გვინდა, შენივე ლექსის სტრიქონით გამოვხატოთ ჩვენი სიყვარული შენდამი:

„მაისი დადგა, მოვფრინავთ შენკენ, ყაყაჩოები ბრდღვიალებს ველზე, გენამს, დავაჩოქებთ ყაჩაღ სიბერეს, როცა გულსა სწამს მხოლოდ სიკეთე.“

თანაკურსელები: ზაინაბ ჭიჭიკოშვილი, ნინო იზხანიაძე, ლია მარტაშვილი



ღმერთმა დაგლოცოთ, მე-16 ბაგა-ბაღელეგო!

თქვენი სამყაროს წიღში ხალისი დამკვიდრებდა



აპირაფხინის დასახლების მშენებელმა – ასე წამოვიძახებთ ცეროდენების ამ სამყაროს ხილვისას. გაზაფხულის ერთ მზიან დღეს ეზოში გაჯერებულ სპორტულ სათამაშოებს პატარები შესეოდნენ და ფივილ-ხივილით არე-მარეს იკლებდნენ. სანამ ინფრასტრუქტურას შევხებოდეთ, წინასწარ ვიტყვი: ქალაქის მერიამ და რაიონის გამგეობამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მე-16 ბაგა-ბაღს, მთლიანად სასიკეთოდ შეცვალეს მისი იერ-სახე. ამიტომ უბნის მოსახლეობა, ბაგა-ბაღის დირექტორი, ყველა თანამშრომელი დიდ მადლობას უხდის ბატონებს და ვთხოვთ **ნარმანას, თემურ თორდინავას და მამუკა ჩოქურს** ყოველივე ამისთვის.

აქ შიგნით და გარეთ მოიხიბლებით.



და იქ ბაღის 3 ახალი ჯგუფი გაიხსნა. ამით, როგორც იტყვიან, მოსახლეობის მადლი მოიხსნა. შარშან კეთილმოეწყო ეზო, შეივსო ნარგავებით, დამშენდა სპორტული-სათამაშო ინვენტარით. სულ მალე ეზო შემოკავდება რკინის ღობით.

თანაშემწეებს. დირექტორი მალაღ შეფასებას აძლევს აღმზრდელეების: **თინა მდივნიშვილის, ნინა ვაშაკიძის, დიანა მელაძის, მაია მაისურაძის, მანანა საჩიშვილის, ლეილა ფიქრიშვილის, იულია ნახუცრიშვილის, ნინო ქართველიშვილის, ნათია ავალიანის, იზო სტურუას, ვალიდა ნაცვალაძის, მანანა კასრადის, ხათუნა კიკვაძის, თეა ცირეკიძის, ნინო ოქროცვარიძის, რიტა ნადარაიას, ასმათ ხეცურიანის, თამარ ბარბაქაძის, დალი ონიანის, ნატალი მორგოშაის, სოფო სულამანიძის, ქეთი ოქროცვარიძის, მზია მარმარაშვილის, შორენა ჭუმბურიძის, თანაშემწეების: ნათია ჯვანდიძის, იზო ცირეკიძის, კარინა ავაბაბოვას, ირმა ბარამიას, ირმა ვარდანაძის, მარი მყავანაძის, ქეთი ყაველაშვილის, ხათუნა რაზმაძის, ინგა კალანდაძის, ცისმარ არზიანის, ლალა კაჭარავას, ნათია ვაჩიშვილის, ეკა ბარამიძის, ირმა ჯავახიშვილის,**



გოცაძეს და ფსიქოლოგ **ნათია კუხალიშვილს**. დირექტორი **ლალი რახრახაძე** მალაღ შეფასებას აძლევს პროფესიონალების: მნე **ლია ჯერვალიძის**, საქმისმწარმოებლების – **ნინელი ტაბატაძისა და ეკა ოთიაშვილის** ნაყოფიერ შრომას. ექთნები: **თეა ნიკლაური და ნინო ფირანიშვილი** საიმედოდ დგანან ცუგრუმელების ჯანმრთელობის სადარაჯოზე, მადლობა პოპულარულ მუშაკებს: მზარეულ **ნანი მამალაძეს** და მის დამხმარეებს – **ნაზი კალანდაძეს, ელენე მოძმანაშვილს, ნანი შარაშენიძეს და თამარ ჯავახიშვილს**, რომლებიც ისეთ გემრიელ კერებს ამზადებენ, რომ ძალიან მოსწონს უკლებლივ ყველა ცეროდენას.

ქება-დიდებას მეტი რა გვეთქმის ბაგა-ბაღის ცხოვრების გამამაზებელ და გამხალისებელ პიროვნებებზე. მუსიკის ჩინებული

პედაგოგები: **თამარ ნახუცრიშვილი და მარინე კაკაბაძე** ცეროდენებს არა მარტო სულს უფაქიზებენ, არამედ ზრდიან მათ მუსიკალური ხელოვნების სიყვარულით.

შესანიშნავად ირჯება ბაგა-ბაგის მუშაკთა მთელი ანსამბლი. თვალსაჩინოა მათი შრომის ნაყოფი. გახარებული არიან აღმზრდელეები. კმაყოფილი არიან მათი მშობლები. და ხომ ეს არის მთავარზე მთავარი.

გიორგი ლეონიძის ოდნავშეცვლილი სტრიქონებით დაგლოცავთ მე-16 ბაგა-ბაღელებო: **„შენ აყვავდი, ბაღო, მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა, კვლავ გაზარდე ბევრზე ბევრი, ვინც მამული დაამშვენა!“**

ხალისიან გაზაფხულს გილოცავთ, სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ!

ბორის სარეპაპა



უდიდესი ღვაწლი ყველაფერ ამასში მიუძღვის შემოქმედ, ღვაწლმოსილ დირექტორს ბაღისას **ლალი რახრახაძეს**. მის კაბინეტში თვალი მოეკარით დიპლომებს, მადლობის ბარათებს. აი, ორიოდე მათგანი: პროექტში **„ინკლუზიური სკოლამდელი განათლება“** წარმატებული წართულობისთვის საქართველოს ასოციაცია **„პორტივი“** ბაგა-ბაღს აჯილდოებს „მადლობის სიგელით“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლამდელ დანახებულბათა შორის მე-16 ბაგა-ბაღი საბაზოა. მეორე: „სამგორის რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გამგეობა **„მადლობის სიგელით“** აჯილდოებს მე-16 ბაგა-ბაღის დირექტორს **ლალი რახრახაძეს**, გამგებელი – **მამუკა ჩოქური“**.

გვინდა ეგზომ პოპულარული ბაგა-ბაღის დირექტორი უფრო ახლოს გავაცნოთ საზოგადოებას. იგი თბილისის 117-ე სკოლისა და მაშინდელი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილია. გულით და სულით ვულოცავთ **ლალი რახრახაძეს** ნაყოფიერ ნამსახურეობრივ იუბილეს – 25 წელია იგი ფესმოუცვლელად ამ ბაგა-ბაღის დირექტორია და ბევრი რამ აქვს გაკეთებული ცეროდენებისათვის. აი, თუნდაც: შარშან დანერგული შენობა კაპიტალურად გარემონტდა



ყველა წარმატება მიღწეულია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის გუნდური ურთიერთობით, თავდადებული შრომით, განსაკუთრებით კი შთამბეჭდავია ინკლუზიური განათლების სფეროში მიღწეული შედეგები. ნაყოფიერი შრომისთვის დაჯილდოვდნენ პროფესიონალი პედაგოგები: **მაია ყაველაშვილი, თამარ ოქროცვარიძე, დარეჯან ცხვედაძე, ირინე შუბითიძე და ლამზირა შალიკაშვილი**. ამათთან ერთად თავდადებული ღვაწლისთვის გვინდა მადლობა ვუთხრათ და მარჯვენა დაველოცოთ სხვა აღმზრდელეებს და მათ

ინგა თორდია, მანანა კინტირაიას, ქეთი ცინცაძის, ციცო ჩოხელის, ქეთი გაჩეჩილაძის შრომას.

როგორც იტყვიან, ბაგა-ბაღის სული და გულია გამოცდილი მეთოდისტი **ეთერ ბარსონიძე**, რომელიც ენერგიულად, ეფექტიანად უძღვება სასწავლო-აღმზრდელით პროცესს. მისი ხელმძღვანელობით აღმზრდელ-პედაგოგები „ფრიადზე“ შეასრულებენ **„სასკოლო მზაობის პროგრამას“** და საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილ ცეროდენებს გააცილებენ სკოლაში. ამ საქმეში ასევე დიდი წვლილი შეაქვთ სპეცპედაგოგ **თამარ**



სამეგრელოს შურნალისტური მათიანე

ქალი - მუდამ ძლიერი

ამ წიგნის ავტორს ისე, როგორც ვაჟას ჩარგალიდან, არ მოუცვლია ნაბიჯი მშობლიური მხარიდან. და დარჩა „იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე სამეგრელოსი“.

ფაჩუაშვილი მუდამ საზოგადოების აქტიურ წევრად გვევლინება. მძაფრი ქართველების მონაწილეა. წიგნში ვკითხულობთ და განვიცდით 37 წლის რეპრესიების სუსხს, დიდი სამამულო ომის საშინელებებს, უფრო მწვავედ კი - აფხაზეთის, იგივე სამეგრელოს, იგივე საქართველოს ტრაგედიას.



ნება ზუგდიდის ინგურქალაქდკომბინატის სახელოვან ისტორიას. მარტო სათაურებით მიხვდებით, რა შემოქმედებითი და პოეტური გზებია ჩაქსოვილი წიგნში. თავს უთუოდ წაგაკითხებთ: „მაპატიე დედი!“, „სტამბა - ჩვენი ოჯახი“, „ბედისწერის გვერათი?“, „ჩემი ბიბლიოთეკა“, „ბალადა უკვდავებისა“. „მე და წლები“...

წიგნის მშენებელია მდიდარი ფოტოარქივი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ნარკვევი „ღვანობისილი პედაგოგი“, რომელიც ასახავს აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის ნაპო გერგუაძეს ცხოვრების გზას.

ბორის კინდელი

წიკი პურტი, რომელიც არ გეჭკ(წყ)ინება

„გარდარეულად“ თავმდაბალნი

შარპან სკოლის დირექტორ თამარ ამზაშვილს ვესტუმრე: ვისაც არ ეზარება, პედაგოგს აუგად ახსენებს. თქვენ კი საქმეს წარმატებულად უძღვებით, ჩინებული მასწავლებლები და სწავლა-შემოქმედებით აქტივობებში გამარჯვებული მოსწავლეებიც ბლომად გყავთ.

გავიდა კარგა ხანი და ვურეკავ, მაგრამ ვერ ვურეკავ. საქმეთამნარმოებელი: კაბინეტში არ არის. სკოლაში არ არის. ზევითაა, ქვევითაა, რესურსცენტრშია, შეხვედრახე, ერთი თვით გერმანიაშია...

კიდევ გავიდა კარგა ხანი. დირექტორთან სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო. კიდევ დავურეკე: ნაღდად ბედი მქონია, ტუზი დამეცა, საქმისმნარმოებლის გარეშე, ალბათ შემთხვევით, თავად აიღო ყურმილი:

– ისეთი თავმდაბალი ვარ, ისეთი, ქებას ვერ ვიტან, რეკლამა მეჯავრებაო. – ისეც რა გითხრათ!

ყალბი ნოტი ადვილად „საცნაურ არს“. მიხეილ მინდამის მოადგილეობისას რომ არ იყო ასე „გარდარეულად“ თავმდაბალი?

დაახლოებით ამის მსგავსი პასუხები სხვა დირექტორებისგანაც მოგვისმენია. მაგალითად, თამარ ხულორდავასგან, თამარ ყიფიანისგან, ნინო ჩიქოვანისგან, მაია კოპალიანისგან, ირინე ნიკლაურისგან...

უცნაურია ღმერთმანი! ჯერ ამ ქვეყნად არ გაჩენილა კაცი, ქება არ სიამოვნებდეს და კრიტიკა მოსწონდეს, პოდა, რატომ არ უნდა სურდეს დირექტორს მის სკოლაზე თუ ვინმე კარს იტყვის? აა, გამახუნდა, გამახსენდა. ვხვდები რას ერიდებიან. მაშინ, როცა „შ“ ასო-ბგერის გაგონებაზე დირექტორებს ელეთ-მელეთი მოსდიოდათ, უფროსისტებს (თვით პედაგოგიური პრესის უფროსისტებსაც კი) სკოლებში არ უშვებდნენ. ალბათ, იმ ინერციით, დღესაც „შ“-ს ნაცვლად ზოგიერთ ხელმძღვანელს „უ“ ასო-ბგერა აურიღლებს, რა თქმა უნდა, ადრე „შ“-სგან დაძინებულს.

პატივცემულო დირექტორებო, ამოდ ფიქრობთ, თითქოს სკოლებში თქვენთვის ხოტბის შესასხმელად შევდიოდეთ (თუ იმსახურებთ, რატომაც არა!). მოსე მწერალს სკოლის და მოსწავლეების წარმატება ახარებს, ყველგან დაჩაგრული მასწავლებლის დაუფასებელი და უმადური ღვანლის წარმოჩენა უნდა.

მოსე მწერალი

ინფორმაცია

ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო



შუანასკნელად, 1974 წელს სკოლებისათვის ითარგმნა რუსულიდან ქართულ ენაზე ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო. მას შემდეგ გავიდა 42 წელი და აი, დღეს პირველად გაცოცხლდა ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (ავტორი ტარიელ მუმლაძე) მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. იგი საინტერესო იქნება მათემატიკის მასწავლებლებისათვისაც. წიგნი იყიდება ყაზბეგის №4-ში მდებარე წიგნების მაღაზიაში.

შეგაქმნათ სტომატოლოგიური პრობლემა? მიმართეთ მაღალპროფესიული მომსახურების თბილისის №1 სტომატოლოგიურ კლინიკას. მისამართი: თევდორე მღვდლის №9 ტელ.: 2986087; 599 163 714 მთავარი ექიმი - მარინა ბაჩაკაშვილი

„არღვიწყობა მოყვრისა...“

მაყვალა კვირკელის ხსოვნა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებულმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა ინსტიტუტის კოლექტივმა, რესპუბლიკის პედაგოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგის დოქტორის, პროფესორ მაყვალა კვირკელის გარდაცვალების გამო.

მაყვალა კვირკელია დაიბადა 1926 წლის 9 სექტემბერს, ცნობილი მეცნიერის პლატონ კვირკელის ოჯახში. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართული მეცნიერების კორიფეები: შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, თედო ბეგიაშვილი და სხვები. ასეთმა გარემომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მოზარდზე და პროფესიის არჩევისას ქალბატონი მაყვალა მამის კვალს გაჰყვა, პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას მიჰყო ხელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ცხოვრების უპირველეს პრიორიტეტად შეიღობა, შეიღობილების აღზრდა მიაჩნდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე დაიწყო მუშაობა. 1952 წელს მიწვეულ იქნა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში (ინგლისური ენის ლექტორად). სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ინგლისური ენის მეთოდისტად. სიცოცხლის ბოლომდე ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში. თავის ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გვიზიარებდა როგორც კოლეგებს, ისე - სტუდენტებს, ყველას - პედაგოგიის დარგით დაინ-



ტერესებულთ. ბევრ სტუდენტს და ასპირანტს შეუწყო ხელი.

1997 წლიდან იყო საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მაყვალა კვირკელია 100-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორისაა: ორი მონოგრაფია, შვიდი ინგლისური ენის სახელმძღვანელო დაწყებული 5 კლასიდან, ერთი დამხმარე სახელმძღვანელო.

იყო უფროსი „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციის წევრი. მუდამ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლეგებსა და მეგობრებს შორის. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ყველა საქმეში მუდამ მხარში გვედგა. სიკეთე, მაღლიერება, ამავის დაფასება, საკუთარი ქვეყნის საერთო ტკივილი მუდამ გაათავისებული ჰქონდა.

უფალმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი ღირსეულ მეცნიერსა და კარგი ოჯახის დედაბოძს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ოქროს ასოებით ჩაინერგა ქართული პედაგოგიის ისტორიაში.

თამარ გომოლაშვილი, პედაგოგიის დოქტორი, პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე ელ-ფოსტა: sakhalkho.ganatileba@gmail.com ტელ.: (032)2 99 80 00 (032)2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+, №8 (4529) 20 აპრილი, 2016 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ ო ლ ე ბ ი ა ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიქერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34-41-41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

